

## ეროვნული საინოვაციო სისტემის საკანონმდებლო პაკეტის ნორმების ზოგადი ტოპოლოგიისათვის

საქართველოში ეროვნული საინოვაციო სისტემის ორგანიზება საჭიროებს ამ სფეროს ეფექტურ საკანონმდებლო უზრუნველყოფას. მუშა პროცესი მოითხოვს საინოვაციო სფეროს ყველა კომპეტენციით აღჭურვილი პროფესიონალის მობილიზებას და მისთვის სამუშაო პირობების შექმნას. ჩვენ საოპროექტო წინადადების სახით წარმოვადგენთ ეროვნული საინოვაციო სისტემის საკანონმდებლო პაკეტის ნორმების ზოგად ტოპოლოგიას:

- საქართველოს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის ანალოგად უნდა ავიღოთ აშშ-ის იურიდიული ნორმა - US Small business administration(SBA) – 1953 და საინოვაციო კვლევის მხარდამჭერი აშშ-ის პროგრამა - The Small Business Innovation Research Program - (SBIR);
- სარისკო კაპიტალის ეროვნული ინსტიტუციის საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის უზრუნველყოფისას უნდა გამოვიყენოთ როგორც აშშ-ის, ისე რამდენიმე ევროპული ქვეყნის იურიდიული რეგულაციები - National Venture Capital Association (NVCA) – 1973, American Entrepreneurs for Economic Growth (AEEG), Private Equity & Venture Capital Association (EVCA) - [www.evca.eu](http://www.evca.eu) , UK High Technology Fund(UK), KfW(Ger);
- სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალს შორის ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი ნორმა - ამ კანონის ანალოგად უნდა ავიღოთ აშშ-ის შემდეგი იურიდიული ნორმები: Bayh-Dole Act – 1980 და Stevenson-Wydler Act – 1980;
- საინოვაციო კვლევების საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის ანალოგად უნდა ავიღოთ აშშ-ის იურიდიული ნორმა - Small Business Innovation Research Act – 1982;
- ინოვაციათა განვითარებისა და მართვის საკანონმდებლო რეგულირება მცირე ბიზნესში - ამ კანონის ანალოგად გამოდგება აშშ-ის იურიდიული ნორმა - Small Business Innovation Development Act – 1982;
- ერთობლივი კვლევებისა და საგადასახადო შეღავათების საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის ანალოგად გამოდგება აშშ-ის იურიდიული ნორმა - Cooperative Research Act – 1984;
- ტექნოლოგიათა ტრანსფერის (ან გადაცემის) საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის ანალოგად გამოდგება აშშ-ის შემდეგი იურიდიული ნორმები: Federal Technology Transfer Act – 1986 და The Small Business Technology Transfer Program - (STTR);

- ეროვნული კონკურენტუნარიანობის საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის ანალოგად გამოდგება აშშ-ის იურიდიული ნორმა - National Competitiveness Act – 1993;
- მცირე ბიზნესის ინვესტირების ინსტიტუციონალიზების საკანონმდებლო რეგულირება - ამ კანონის ანალოგად გამოდგება აშშ-ის იურიდიული ნორმა: The Small Business Investment Company - (SBIC).

*სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი*